აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ
და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

01.09.2018-დან 01.09.2019-მდე

2019 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია 2018 წლის 01 სექტემბრიდან 2019 წლის 01 სექტემბრამდე კომიტეტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა.

წარმოდგენილია კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე	ვახტანგ წულაძე
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე	ირაკლი ჭეიშვილი

კომიტეტის წევრები:	გიორგი რომანაძე
	ხვიჩა შარაშიძე
	ელგუჯა ბაგრატიონი
	მერაბ ბლადაძე

კომიტეტის აპარატი

აპარატის უფროსი	ჯამბულ ჯურცხალიძე
თავმჯდომარის თანაშემწე	გიორგი დავითაძე
უფროსი სპეციალისტი	ნაზი ჯინჭარაძე
უფროსი სპეციალისტი	ანზორ დუმბაძე
უმცროსი სპეციალისტი	დავით წულუკიძე

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი ამოცანები
და ფუნქციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრული იქნა საკანონმდებლო საქმიანობა, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

- აგრარული და სასურსათო სექტორის განვითარება;

- გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება;

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

- ამომრჩევლებთან შეხვედრისას, მოქალაქეთა მიღებისას და კომიტეტში განსახილველად შემოსულ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხების განხილვა და შესაბამისი რეაგირება.

საკანონმდებლო
საქმიანობა

- საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ წულაძის მიერ ინიცირებული იქნა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“.

კანონპროექტში ცვლილების შეტანა ითვალისწინებს, ტყის მდგრადი მართვისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული სატყეო სექტორის ჯანსაღ, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და უზრუნველყოფას, კლიმატის ცვლილების და ანთროპოგენური ზემოქმედების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების ეფექტიან დაკმაყოფილებას, ტყის ფუნქციონალური დატვირთვის გაზრდასა და გაძლიერებას.

დეცენტრალიზაციის პრინციპების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული სახელმწიფო ტყეები უნდა გადაეცეს ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში. ამის მისაღწევად მიღებული უნდა იქნეს აჭარის სატყეო პოლიტიკა, ტყის მართვის კანონმდებლობა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. მიღებული კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობასთან.

კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა, ძირითადი მიმართულებების მიხედვით

➢ აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგრარულ-სასურსათო სექტორის ცალკეული დარგების განვითარებასა და აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების ხელშეწყობას, ფერმერთა და აგრომეწარმეთა სწავლება-კონსულტირებას.

➢ კომიტეტს აქტიური საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის სამსახურებთან. ერთობლივად იქნა განხილული ცალკეული დარგებისა და ძირითადი მიმართულებების განვითარების პრობლემები. აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების განხილვასა და მონიტორინგში.

➢ კომიტეტის სხდომებზე მოსმენილი იქნა ინფორმაციები სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის, ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონისათვის მზადების, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის, აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების მიმდინარეობის შესახებ და სხვა საკითხებზე. განხილული იქნა შესაბამისი ინფორმაციები მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

➢ კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან და აჭარის სატყეო სააგენტოსთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ინტეგრირებული მართვის, ტყის მდგრადი მართვისა და დაცვის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას.

➢ თანამშრომლობდა სამთავრობო უწყებებთან, მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის მიერ დასმული სხვადასხვა საკითხების, განცხადებებისა და წინადადებების ერთობლივი განხილვისა და გადაწყვეტის საქმეში.

➢ ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებთან ერთობლივი საქმიანობის შედეგად გადაწყვეტილი იქნა სხვადასხვა სოფლებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, ავტობანის მშენებლობის, მიწათსარგებლობის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის არაერთი საკითხი.

კომიტეტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები მართავდნენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. განახორციელეს რამდენიმე საქმიანი მივლინება უცხოეთში.

მათ შორის:

- 2018 წლის 13 სექტემბერს აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ გამართულ 2019-2022 წლების პრიორიტეტების საჯარო განხილვა.

- 2019 წლის 15 თებერვალს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას. სადაც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტიტე არუშიძემ ციტრუსის სეზონი შეაჯამა და 2018-2019 წლებში მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები წარადგინა. საჯარო განხილვისას, რომელშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გელა ხანიშვილი, აჭარის მთავრობის წევრები, რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის გამგეობებისა და საკრებულოების, სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და ფერმერები მონაწილეობდნენ, ტიტე არუშიძემ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის პროგრამები და ქვეპროგრამები წარმოადგინა.

- 2019 წლის 2 მარტს ვახტანგ წულაძე ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე ხელმძღვანელობდა ქ. ვროცლავში რეგიონულ პარლამენტთა შორის სამხრივ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრის მიზანი იყო ქვემო სილეზიის რეგიონულ პარლამენტს, ბრანდერბურგის ლანდტაგსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შორის სამმხრივი სამუშაო ფორმატისა და სამომავლო თანამშრომლობის დეტალების განხილვა. მხარეებმა ასევე ერთობლივი პროექტების განხორციელების კონკრეტულ გეგმებზე ისაუბრეს, მათ შორის კულტურის, სპორტის, ტურიზმის, მედიცინისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მიმართულებით.

- 2019 წლის 18 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აგროსერვის ცენტრში, სოფლის განვითარების საბჭოს სამუშაო შეხვედრა.

- 2019 წლის 7 მაისს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის და საშუალოვადიანი (2020-2023 წწ.) სამოქმედო გეგმის განხილვა.

- 2019 წლის 23 მაისს ვახტანგ წულაძე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დავით გაბაიძესთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაცული ტერიტორიების მდგრადობის პროექტის კოორდინატორს და ჩეხეთ-UNDP-ის პარტნიორობის პროექტის - „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვის

ხელშეწყობა“ წარმომადგენელს, ჩეხ ექსპერტს შეხვდა. შეხვედრაზე UNDP-ის მხარდაჭერით აჭარაში მიმდინარე „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვის ხელშეწყობის“ პროექტზე ისაუბრეს.

➢ 2019 წლის 9 აგვისტოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, უმაღლეს საბჭოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე იმსჯელეს. შეხვედრას უმაღლესი საბჭოს აპარატების, UNDP-ის დაცული ტერიტორიების პროექტის კოორდინატორი და იურისტი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

➢ 2019 წლის 11 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით გაეროს განვითარების „UNDP“ პროგრამის ფარგლებში, ვახტანგ წულაძე მივლინებული იყო ჩეხეთის რესპუბლიკაში, საინფორმაციო ტურში მონაწილეობის მისაღებად. ვიზიტი განხორციელდა ჩეხეთის მთავრობასთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაარსებას და სამომავლო მართვის ხელშეწყობის ღონისძიებებს. საინფორმაციო ტურში ასევე ჩართულები იყვნენ აჭარის აღმასრულებელი უწყებების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის და მაჭახლის თემის წარმომადგენლები.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 11 სხდომა. მათ შორის:

- კომიტეტის სხდომა – 10;
- გასვლითი სხდომა – 1 (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო).

სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 26 საკითხი. აქედან:

- კანონპროექტი და დადგენილება – 9 ;
- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი – 13;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია – 4.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა შეიმუშავა და წარადგინა 9 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე.

კომიტეტში შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპონდენციების და მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუდმივ დახმარებას უწევდა მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 244 კორესპონდენცია.

აქედან:

1. საქართველოს პარლამენტის აპარატიდან შემოსული კანონპროექტი -15;
2. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციულ და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენცია - 45 ;
3. უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომიტეტებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენცია - 110;
4. კომიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებები -74;
6. მოქალაქეთა მიღების რაოდენობა - 47 .

კომიტეტში შემოსული ყველა განცხადება კომიტეტის აპარატის მიერ აყვანილი იყო კონტროლზე და შესწავლილი იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

კომიტეტის თავმჯდომარე
ვახტანგ წულაძე